№ 19 (—255) კვირა, 18 მაისი 1930 წ. ფასი 10 კ.

ტარტაროზი

შეფი: — არ მახსოვს ეს კოლექტივი როდის მოვაწყვეთ! შარშან პირველ დეკემბრის შემდეგ აქეთ პა-
რიც არ გვიქნია!

გლეხი: (თავისთვის):—ყოველთვის ასეა, მხოლოდ გაზაფხულზე მოვაგონდებით ჩვენს შეფს!

Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили Академия наук ГССР



„პრასტრესტის“ მუშა - მოსამსახურეთა საშეფო კომისიის წევრებისათვის, რომ გეკითხათ, მათ არ სწამდათ „სიტყვისა და საქმის სხვადასხვაობა“. ხსენებულ კომისიის თავმჯდომარეს სილიბისტრო ლაყბაძეს „სიტყვის კაცათ“ მოჰქონდა თავი.

— „ჩემთვის სიტყვა და საქმე ერთია“ ხშირად გაიგონებდით მისგან.

— ამხანაგებო, — „აღგზნებული“ სიტყვით მიმართა მან ამ ერთი წლის წინათ საშეფო სოფლის ოფლარეთის მშრომელთ;

— იქონიეთ სრული იმედი, რომ ჩვენგან ყოველივე დახმარებას მიიღებთ, არ მოგაკლებთ არც სამეურნეო იარაღებს და არც კულტურულ ძალებს, ოღონდ ამ სოფლის მშრომელთა კოლექტივი ვიხილოთ. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას. გაუმარჯოს ოფლნარეთის კოლექტივს! — დაასრულა მან თავის სიტყვა, რომელიც დაიფარა ტაშის გრიალით.

გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ისმოდა ხმები.

გავიდა ერთი წელი.

სოფელ ოფლარეთში ჩატარდა კოლექტივიზაცია. მშრომელთა კოლექტივი დღითი - დღე „წელში მაგრდებოდა“ და მტრებს „თვალებს უბრმავებდა“.

ამხანაგებო, — მიმართა სილიბისტრო ლაყბაძემ საშეფო კომისიის წევრთ, — „კომუჯრედზე მოხსენებისათვის საშეფო კომისიის მუშაობის ანგარიშს ვამზადებ, საჭიროა თქვენი დახმარება, ეგებ მოიგონოთ, როდის ვიყავით სოფელ ოფლარეთში, ან ეგებ იცით, რა გაკეთდა ხსენებულ სოფელში.

— როდის ვიყავით კი ვიცი: კვირა იყო, 18 მაისი, გაკეთების კი რა მოგახსენო. — სთქვა კომისიის ერთმა წევრმა ვანო ფშუტურაძემ.

— ცდები ამხ. ვანო, ჩვენ ვიყავით 19 მაისს და არა თვრამეტს, შეუსწორა მას კომისიის ერთმა წევრმა კირილე მელაძემ.

— არა, ამხანაგო, კირილე, შენ სცდები, ჩვენ ვიყავით შარშან, კვირას, სწორედ დღევანდელ დღეს; დღეს კი 18 მაისია. — შუბლზე თითის მიდებით დინჯათ წარმოსთქვა სილიბისტრო ლაყბაძემ.

— ცდები, კვირა 19 მაისი იყო და არა თვრამეტი! დაჟინებით იმეორებდა მელაძე.

— მაშ, მოდი სანაძლევო დავდოთ, მე ვამბობ: სოფელში ვიყავით, შარშან კვირას, 18 მაისს.

— თანახმა ვარ, მომეცი ხელი, — და მელაძემ ხელი გაუწოდა ფშუტურაძეს.

— წაგებულმა იყიდოს 5 ბოთლი „ჩქეფი—იყო სილიბისტროს წინადადება.

— კარგია! ისმოდა ხმები.

მოიტანეს წარსული წლის კალენდარი.

გადაფურცლეს. წაიკითხეს. კალენდარში „თეთრზე შავათ“ ეწერა:

კვირა 19 მაისი.

მელაძემ ნიძლავი მოიგო.

ამ დღეს, კვირას, 18 მაისს 1930 წლ., ერთ-ერთ სასადილოში „პრასტრესტის“ მუშა - მოსამსახურეთა საშეფო კომისიის წევრები მაგიდას შემოსხდომოდენ და „დროს ატარებდენ“. ტოლუმბაშათ ერთხმად აერჩიათ ლაყბაძე.

— ეს ღმერთმა... უკაცრავათ, ჩვენ შორის ულმერთოთა საზოგადოების წევრი ხომ არავინ არის? ში[illegible]ხა ლაყბაძე იქ მყოფთ.

— არავინ! იყო საერთო პასუხი.

— მაშ, ეს ღმერთმა აღდეგრძელოს სოფელ ოფლნარეთის კოლექტივი, რომელიცა რომ, ჩვენი დახმარებით მომავალში უნდა დაარსდეს. ამ დროს სასადილოში „პრასტრესტის“ საქმის მმართველი შემოვიდა.

— ამხანაგო სილიბისტრო, თქვენს სახელზე წერილია... შესვლისთანავე მიმართა საქმის მმართველმა ლაყბაძეს და წერილი გადასცა.

— წერილი? ნეტავ ვისგან არის? გაკვირვებით იკითხა მან და წერილის კითხვა დაიწყო.

— ამხანაგებო, წერილი ოფლნარეთის კოლექტივიდან არის.

გვეკითხებიან: არსებობს თუ არა საშეფო კომისია. თუ არსებობს, რას აკეთებს. რატომ არ გვეხმარებით?

მე მგონია ამხანაგებო, კოლექტივს ჩვენ ასეთი პასუხი უნდა მივსცეთ:

— საშეფო კომისია არსებობს და იარსებებს. თუ რას ვაკეთებთ ეს ჩვენ ვიცით, ჩვენი საქმეა და არა კოლექტივის. — მედიდურის კილოთი წარმოსთქვა სილიბისტრომ და „ჩქეფით“ სავსე ჭიქა ხელში აიღო.

— მართალია! სწორია! გაისმა ხმები.

— „ჩქეფით“ გამხიარულებულნი საშეფო კომისიის წევრები ერთმანეთს ადღეგრძელებდენ.

ნიანგი.

დ ა ჩ ქ ა რ ე ბ ა

„ეხლახან გამოუშვეს მოძრაობის მეტად ახალგაზრდა ჭმედები (დსპ), რომლებიც ვერ ერკვევიან მოძრაობის წესებში“.



— ვაიმე, მატარებელი მოდის, ხაით გავიქცე!

„დატვირთული ეოლვაწი“

დ. ყულევი

ეძ. თანაშემწე გრიშა: — სად მცალია ავათმყოფის გასასინჯათ; უჯრედის მდივანი ვარ, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, მუშგლეხნი, სტატისტიკოსი, აღმასკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და სხვა!

თქმულება საპნის ბუშტზე

(იგავისებური)

ჭუჭყი მეკრა და მეც საპნით
გახვიხრახე ხელის ბანა,
გადაჭრილა ამ ლიპ საგნით
სხვა რომელი ამოცანა?
ხელის ბანა...
ჭუჭყის თანა...
აი, — საპნის გამოცანა!..
ძაგრამ, თუ რომ თვითონ საპონს
ჭუჭყი ჰმოსს თუ აკრავს გულში,
თუ, პირიქით, გსვრის ის პატრონს
გხდის ჩაჭედით კარდახშულში,—
ჭუჭყით გულში...
ჭუჭყის ხნულში...
ფუჭ საპონის განზრახულში!..
ესე იგი, ხელის ბანა
მსგავსი საპნით ბრის ფუჭი:
შენ იბან და იგი, განა,
მოგაშოროს — ჰფიქრობს—ჭუჭყი?
უკეთ უწყი,
რომ ის წუწკი
გაგსვრის, შენ რომ ბანას უცდი!..
მეც ვუცდიდი საპონს უნარს
დი ვისობდი ხელზე სწრაფად;
რით შეარნევ დასაწუნარს,
თუ მიასქდი შენ მას ხაფად?
საპნის დაფაც
იქცა ქაფად,
გაეგლისა ის ხელს სწრაფად!..
მაგრამ ბანა, ამიშთანა,
თქვენს მტერსა და თქვენს მოძულეს!
უომედოთ გამიტანა,
გადავყევ მის სიდიდგულეს:
დაბანდულებს
მფენდა ქულებს,
მით იჩენდა სიერთგულეს...
და თან და თან შემეგლისპა,
და თან და თან შემომეწნა,
მის შეძლებაც კი მომისპო,
რომ საპონში გლისპი მეცნო:
მონამცეცო
ხელს მომეცხო,
ვერაფერი ვერ გამიწყო!..
სანამ... სანამ თვით არ ჰფეთქა,
არ შეიქნა ბანით კუშტი
და შუბლისკენ არ იჭექა,
მომეღირა, როგორც მუშტ
ისე კუშტი,
როგორც მუშტი,
ოჰ, აგშორდით საპნის ბუშტი!..
ამ ჭექაშიც მას ძლივს გავსწვდი...
და ვიჭექეთ მეც და მანაც,
აქ შევსწყვიტე ხელის ბანაც,
აქ საპონთან ხვედრით გავსწყდი...
და განვკაცდი!..
ხმას კი ვაწვდი:
საპნის ბუშტო, გასქდი... გასქდი...

ჰაზირა.

ჭიათურის ყავახანა

ჭიათურის ყავახანას
რა ეტყობა ყავახანის?
რძის მაგივრად მომიტანეს
რალაც წყალი დაბახანის.

ამხანაგო, არ გეგონოს
ხოში მქონდეს გულის ფხანის
და სურვილი „დობილებთან“
ან ხუნტრუცის, ან თაყვანის.

ეს მუშების ქალაქია,
აქ რა უნდა მასხარობას;
ეპვიც კი არ უნდა ჰქონდეს
შემოსული კაცის ნდობას.

რომ არა გაქვს ნამდვილი რძე,
ადექი და მითხარ ასე;
თუ მოსულ კაცს არად მაგდებ,
თავი მაინც დაიფასე.

ხომ იცი რომ დღევანდელ დღეს
ვინც არ ვაჭრობს წესიერად,
გაძსახლისკენ აგზავნიან
ცოტა ჭკუის შესაძენად.

მართლა წყალი რომ მდომოდა,
ვერ ვნახავდი განა წყაროს?
ჩემმა ფულმა შენს ჯიბეში
რისთვის უნდა იჩხრიალოს!

ჭიათურა მდიდარია
წყაროთი და მარგანეცით;
ჭუხლიბამდის მორევ-ლაფით
და ტალახით მოსაკეცით.

გაწუწული რო შემოველ,
მიტომ ასე მომექეცით?
შემცდარი ხარ, მოქალაქევ,
შენ ფიქრებით აქ რომ კეცით!

რომ ყველამ არ მიიტანოს
ეს ნათქვამი მწარედ გულთან
მე ამ ამბავს მოგახსენებთ
აქვე ახლოს, ხიდის ყურთან.

შიო მღვიმელი.

ეძღვნება ჩვენი ვეძილეგბის უმრავლესობას

მე ისეთი კაცი ვარ, რომ— რასაც ჩემი თვალით არ ვნახავ, მაინცდამაინც არაფერს დავიჯერებ.

ამიტომ არ მწამდა, როცა ვეძილებზე ამბობდენ:

— ოლონდ ფული მიეცით და უმრავლესობა მათგანი აშკარა ბოროტმოქმედებას დაიცავსო!

და სწორედ ამიტომ წავედი სასამართლოში —შეყურებინა მათთვის საქმის გარჩევის დროს.

—:—

— გაირჩევა სამქე დაბრეგვილაძისა საჩივარი მუშტაძის მიმართ უკანასკნელის მიერ პირველის გალახვის შესახებ!—დაახლოებით ასე გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ.

დაიწყო საქმის გარჩევა.

დაზარალებული ლაპარაკობდა:

— მივდიოდი ჩემთვის სახლში. უცბად მოსახვევიდან გამოეარდა მუშტაძე. შემაჩერა. პაპიროსზე ცეცხლი მომაკიდებინა და შემდეგ მუშტები ჩამიშინა გვერდებში; თანაც შემაგინა და დამემუქრა: „ეხლავე თავს უშველე, თორემ ძვალს რბილად გიქცევ“-ო... მას შემდეგ მტკივა ნეკნები და ავადმყოფობაც დამჩემდა...

— მთვრალი ვიყავ... კი გავლახე... რა ჩემი ბრალია!.. არ მახსოვს რამდენი და როგორ ესცემე!— უტიფრად განაცხადა ბრალდებულმა მუშტაძემ.

— აი, პატივცემულო მოსამართლენო, — დაიწყო ბრალდებულ მუშტაძის დამცველმა ვეძილმა მჭერმეტყველობა,— თქვენს წინაშე სდგას გულუბრყვილო ბრალდებული მუშტაძე, რომელიც დანაშაულების ჩადენის დროს მთვრალი ყოფილა. მაშასადამე, მას ეს საქმე ხულიგნობით არ მოსვლია... აქედან დასკვნა: მუშტაძე უნდა გამართლდეს...

— როგორ თუ გამართლდეს? რომ მცემა, არაფერია?

— მე გეკითხებით თქვენ,— შეეკითხა ვეძილი დაზარალებულს,—მუშტებით გცემა, ბლიკვით, მჯიღით თუ მუჯლუგუნით?

— ეს სულერთია; ვიცი, რომ მცემა!

— აი, პატივცემულო მოსამართლენო, დაზარალებულმა არც კი იცის, თუ როგორ სცემეს მას. ამიტომ მე მინდა განვმარტო თუ რას ნიშნავს: მუჭი, მუშტი. ბლიკვი, მჯიღი, მუჯლუგუნი და სხვა ასეთი. ყველა ამათ თავისი დანიშნულება და თავისებურობა ახასიათებს და სასჯელის გამოტანის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუ მათ შორის რომელი იყო ხმარებული.

პატივცემულო მოსამართლენო, მე გთხოვთ გადაშალოთ საბა-სულხან-ორბელიანის ლექსიკონის 232 გვერდი და ნახოთ მეორე სვეტის უკანასკნელი სიტყვა. იქ თეთრზე შავად სწერია:

„**მუჭი** ეწოდების რა მაგრად ხელთა თითნი შეიკუმშო და უკეთუ კაცსა ცერით კერძო სცე, ეწოდების **მუშტი**; უკეთუ ნეკის მხარე დაჭკრა, ეწოდების **მჯიღი**; უკეთუ ცერი თითებს ქვეშ დააპყრა და ეგრე სცე, ეწოდების **ბლიკვი**; უკეთუ თითებითა გოჯის კერძო წაჭკრა, ეწოდების **ქიშტი**, რომელ არს **ძურჯვა**; უკეთუ იდაყვთა უკუღმა უკუჭკრა, **მუჯლუგუნი** ეწოდების“.

ეხლა ხელმეორედ ვეკითხებით დაზარალებულს:— რომელი იყო ამათში გარკვევით დაგვისახელოს... არ ახსოვს? არ იცის? სულერთია? აი, პატივცემულო მოსამართლენო, სანამდე მიდის მომჩივანის თავხედობა, რომ პატიოსან კაცს, როგორიც არის მუშტაძე, ასეთი ხულიგნობა დასწამოს. ამიტომ მე ვთხოულობ, ბრალდებული მუშტაძე განთავისუფლებულ იქნეს ბრალდებისაგან და ცილისწამებისათვის პასუხისგებაში მიეცეს თვით მომჩივანი დაბრეგვილაძე...

—:—

დავრწმუნდი რა გავრცელებულ ხმების სიმართლეში, წამოვედი სასამართლოდან.

ისელი.

„ა ვ ა დ მ ყ ო ფ ი“



— ეს რა ამბავია, ჭიქით სვამ ღვინოს?!

— ექიმმა მითხრა — დღეში ერთი ჭიქის მეტი ღვინო არ დალიო-ო... მეც ასეთი ჭიქა ვიყიდე!

უკვე
დაიწყო
ხელისმოწერა
ივნისისათვის
გაზ. „მუშა“-ზე
და
ქურნალ
„ცარცაროზ“-ზე

— გეფიცებით მამი ჩემის ფარნაოზის სულს და დიდი ჩემის ეფოზის თუ ვენმეს ისეთი საჯაყი საქმე მოსვლოდეს, რავარიც მე ამ დღეებში ტფილისში დამემართა. ჩემი ცოდვით სავსეს ტფილისში დიდი ხანია მყავს დიდაშვილი ილიკო კუტუბიძე. ბგერ ოცდახუთი წელიწადი იქნება, რაც ტფილისში არ ვყოფილვარ, არც მენშევიკების და არც ბოლშევიკების დროს, ვიყავი ერთი გზობა ცხონებული ნიკოლოზის დროს და ვაი თქვენ დაგემართოთ კაი პატივცემული და ნაპურმარილევი მე წევედი. ილიკო მაშვინ პრიკაშჩიკად იყო ერთ ვაჭართან. კაი პატივი მცა მედაჩემმა ღმერთმა.

ამ ბოლო დროს ილიკომ მომაყარა და მომაყარა ხოშკაკალივით წერილები, ჩამოდი და ჩამოდიო, კარგათ ვარ; საკუთარი დიდი საქმე მაქვს და კაი პატივს გაკეთებ. ვერ გევიგე რა შეუჯდა იმ ჩემიცოდვით სავსეს. ოცი წელიწადია არ გავხსენებივარ და ახლა რომ დეიფინა აღარ მომეშვა. მოწერა, დიდი მაღაზია მაქვს, სულ ადვილად მოსაგნები ვარ, გამოივლი რუსთაველის პროსპექტს, მოხვალ თავისუფლების მოედანზე და იქინე არის ჩემი მაღაზიაო. ზედ დიდი აბრა აქვს. ოქროს ასოებით სწერია „ილიკო კუტუბიძის მაღაზია“, მხოლოდ შემოკლებით, ერთი სიტყვით, რომ მეტი დრო და ხარჯი არ გასულიყო „ილკოტმაღ“. ეს სიტყვა კარგად დავიხსომე და გამიწყრა ღმერთი, წამოვედი.

დილით ადრე ჩამოველი ტფილისში. „კონკა“ არ იყო და ფეხით გამოვყევი. გზა და გზა აბრებს ვკითხულობდი, რომ ვინიცობაა არ გამოპაროდა ილიკოს მაღაზია. მამის სულს გეფიცებით ძალიან გამიხარდა: ყველა აბრებზე ჯერ ქართული ეწერა და მერე რუსული. ეწინ ასე არ იყო, ქართულს სად დეინახავდი. როგორც კაცი გამიხარდა და გულში ვთქვი „ცხონდა ბალშევიკების დედამამის სული, მართალია ცოციალისტები არიან, მარა სამშობლო მაინც ეყვართ მეთქი. ბარაქალა, რომ ასე დაუწინაურებიათ ქართული ენა მეთქი. მარა ერთში უნდა გამოგიტყდეთ. ქართული წერა - კითხვა წყალივით ვიცი; ყველა აბრა წავიკითხე, მარა რავარც არ დამკლავო, ვერაფერი გევიგე. ერთ აბრაზე ვკითხულობ, ქართული ასოებით აწერია, „კავმინროზლიგ“. ერთი მითხარით რა ეშმაკი გაიგებს რა არის ეს? მართალია ვიცოდი, რომ ბალშევიკებმა სიტყვები შეამოკლეს დროს მოსაგებად და არა მათ დასამახინჯებლათ. მთელი საათი ვიდექი და თავს ვიტეხდი, მინდოდა ჯინაზე გამიგო რას ნიშნავდა ეს სიტყვა, მარა შენც არ მომიკვდე. ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ერთ გამვლელს მივუშვირე ხელი და ვკითხე, რას ნიშნავს მეთქი. შემომხედა, გადიხარხარა და წავიდა. ძალიან კუჭი მომივიდა, სატევარზეც ხელი ვიტაცე, მარა მოვითმინე და გავუდექი გზას. „ხლებოპროდუქტ“, „გოსტორგ“, „კულტსნაბ“, „ზაკვოდხოზ“, „ზაკგოსტორგ“, „მოსსელპრომ“, წევიკითხე რამდენიმე აბრა და კაკალ გულზე ვავსკდი კაცი. გავჩერდი და ვფიქრობ: ან მე გავდურაკდი და აღარაფერი მესმის, ან-და ქართული ენა დამვიწყებია.

რაც უნდა თავი მეტეხა. ვერაფერს გევიგებდი და გოვუდექი გზას. ვიფიქრე, მივალ ილიკოსთან და იგი ყორისფელს ამიხსნის მეთქი. აბრების კითხვას განვაგრძობდი. ერთი ღვინის სარდაფზე შემდეგი წავიკითხე: „ღვინის სარდაფი“, გამიხარდა, აი გაკურთხოს მარჯვენა, ამას ყველა გაიგებს მეთქი. ქვევით ეწერა: „ღვინო დალევით და გატანით“. ამის წაკითხვა და მუცელზე ხელის მოჭერა ერთი იყო. კიღამ გავსკდი სიცილით. ერთ წუთში შემომეხვია ღუნია მელექეთი ხალხი და ყველა პირში მიყურებდა, რა აცინებს ამ კაცს, რა დაემართაო. ალბად ძალიან ჭკვიანი კაცი ყოფილა სარდაფის პატრონი, თვარა ამისთანა საინტერესო რამეს არ დაწერდა მეთქი. მე ქე გევიგე რაშიც იყო საქმე. გავსწიე წინ. პირღია ხალხი კიდევ დიდხანს იდგა და მიყურებდა. კაი დაღალული ვიყავი, რომ თავისუფლების მოედანზე მივედი. ახლა ყველა აბრას გულდასმით ვკითხულობდი, რომ ილიკოს მაღაზია არ გამომპაროდა. უცბად თვალი მოვჭარი ერთ აბრას ზედ დიდი ოქროს ასოებით ქართულად ეწერა „ზაკუტილსირიე“ თვალები გამინათლდა, ვიფიქრე ეს არის ილიკოს მაღაზია მეთქი, „ზა-კუტილ-სირიე“. „კუტ ილ-კი კუტუბიძე ილიკოა, ვიფიქრე, მარა აგი „ზა და სირიე“ რაღა არის მეთქი. ზოგიერთი რუსული სიტყვა ქე ვიცოდი და მივხვდი რას ნიშნავდა „სირიე“ ალბათ ამ გაჭირვების დროს ილიკომ კაი ყველები მიიღო და იმიტომ დაუწერია მეთქი. ეს „ზა“ რაც უნდა იყოს ჩემთვის სულერთია მეთქი და ჯიქურ შევაღე კარები. ვიღაც კაცი შემეგება და ამხედ-დამხედა.

— ილიკო კუტუბიძის მაღაზია აგია ძამიავ?

კაცმა თვალები დააჭყიტა.

— რაო?

— რაი და ვაი შენ! ილიკო კუტუბიძის მაღაზია აგია?

ამის თქმა იყო და ეს კაცი გადაბრუნდა და ღეიწყო ხარხარი და ფეხების ქნევა. თანაც „უუ! უუ!“-ო კოდა. აგი ვეღარ მოვითმინე ვიძრე ჩემი სატევარი და სიპტყით კაი ვსტკუცე ზურგზე. სატევრის დანახვაზე წამოვარდა, დეიწყო ტურასავით ჭყავილი და გავარდა ქუჩაში. უცბად მთელი მილეთის კაცი და ქალი მოგროვდა. მტაცა ხელი მილიციონერმა და სადღაც გამაქანეს. მერე გევიგე რაცხა „კამერა“ ყოფილა. ხელად გადამიჭრეს სამართალი და მითხრეს „ხულიგანი“ ხარო. ღმერთი რჯული ხულიგანი კი არა თაყა გუდავაძე ვარ, ილიკო კუტუბიძის სანახავათ ჩამოვედი მეთქი, მარა ვინ დაგიჯერა. ხელად მიკრეს თავი ნაობაზში. ორი თვე ძჭამეს იქინე რწყილებმა და ახლა ქე ძიეალ შინ. ღმერთმა დასწყეველოს ილიკო კუტუბიძე და ის, ვინც ჩვენს ენას ასე ამახინჯებს.

ამისთანა საჯაყი საქმე მომივიდა ანუ შემოკლებით „საჯაყსაქ“.

თაყა.

მოდი და ნუ გასწერავ

ოი, დეიქცა მაგათი ოჯახი.

კაცო, გადამეკიდენ „ტარტაროზი“-ს გმირები, — როგორ თუ გაზედ და ჟურნალში გაგვწერეო.

დიდება შენდა, ჩემო ტარტაროზო, მოდი და მეითმინე და ნუ „გამოსჭიმავ“ გლეხკომის სასადილოს გამგეს არტემა გუგუშვილს და ეფროსია ივა ნოვნას, რომლებიც სასადილოში ყოველიე სისაძაგლეს სჩადიან!

ან-და, რავა შემიძლია დაეიკრიფო გულზე ხელები და ვუყურო დიანოსა თელიას, კოოპერატივის პურებს რომ ყოველდღე ქელეხებსა და ქორწილებში აგზავნის ფუთობით!

ამასაც თავი დავანებოთ, მარა აგი რავა მოითმინოს კაცმა და არ გასწეროს — ცხენის წყლის ხიდის სამუშაოების ადგილკომს რომ სძინავს? უკავშიროებს და შეძლებულებს ამუშავებენ. აქაური კედლის გაზეთი ქე სწერს ამის შესახებ, მარა ვინ აქცევს ყურადღებას.

აგი მაინც რავა მევითმინო და არ გავწერო, — ვალიკო ჯანელიძემ რომ კოოპერატივში მოსული პალტოები მხოლოდ ნაცნობებს მისცა.

კაცო, რავა შემიძლია არ გავწერო, მარუსია, თაკია და შალიკო... მაგრამ არა, ვუყურებ მაგათ სინდისს და მერე იკოცხლოს ბრაგუნამ მაგათაც მოუბრაგუნოს.

ბრაგუნა.

ხოხო კიკილაძე

გითხარით:

—მას თქვენ ვერ იცნობთ, ის ყველას გიცნობთ...

შეგპირდით:

— ვკისრულობ თქვენთვის მის გაცნობას.

თქვენ კი ცნობისმოყვარეობა არ გასვენებთ.

ეხლავე გინდათ გაიგოთ მის შესახებ ყველაფერი.

მოთმინება არ გყოფნით

მეკითხებით:

ვინ არის, როგორია, სად ცხოვრობს, პარტიულია თუ არა, რა თანამდებობა უკავია.

მთხოვთ აგიწეროთ მისი გარეგნობა:

რამხელაა, როგორი სახის, რა აცვია და სხვა.

იყოს სურვილი თქვენი.

კიკილაძის ბიოგრაფიას გაგაცნობთ შემდეგ.

ახლა კი წარმოგიდგენთ მის „მოყვანილობას".

ამ დღეებში კიკილაძეს ვსთხოვე ფოტოგრაფიული სურათი ჟურნალში მოსათავსებლად.

„ამ უბრალო თხოვნას როგორ არ აგისრულებთ. მხოლოდ არ ვიცი, რომელი სურათი მოგცეთ. ჩემთვის ყველა ერთნაირია". მითხრა მან და გადმოფურცლა სურათების ალბომი. რომელშიაც გარდა თავის აუარებელ სურათებისა, მრავალი სხვადასხვა პირთა სურათებიც არის ჩაწყობილი...

თვალი მივაპყარ კიკილაძის ერთ სურათს, რომლის ქვეშ რაღაც ლექსი იყო წარწერილი.

წავიკითხე. ლექსს სათაურად ეწერა — „ავტოპორტრეტი".

— რატომ ეს ლექსი არ შეიტანეთ თქვენ ლექსთა წიგნში? — შევეკითხე მას.

— არ ღირდა. იდეოლოგიურათ გაუმართლებელია. ეს — ისე, ჩემთვის დავსწერე, ღიმილით სთქვა მან.

ხოხო კიკილაძე

⁂

— პატივცემულო ხოხო, ნება მომეცით ეს თქვენი სურათი და ლექსი ჩვენს ჟურნალში მოვათავსო. ვსთხოვე მას.

— სურათი მიირთვით, — თავაზიანი კილოთი მითხრა მან, ალბომიდან ამოიღო ის და გადმომცა.

ლექსი კი... ლექსი წაშალეთ, რა საჭიროა, ან თუ დაბეჭდოთ არა ჩემი ფსევდონიმით. ყველამ იცის, რომ პოეტი რუსთველაძე მე ვარ.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ, მეორე დღეს კიკილაძის სურათი დაიბეჭდა ჩვენ ჟურნალში, როგორც საზოგადო მოღვაწის და ცნობილ პოეტ რუსთველაძის. მისი ლექსი — „ავტოპორტრეტი" დაიბეჭდა გენიოს მუზაძის ფსევდონიმით.

რაო, თქვენ არც ერთი და არც მეორე არ გინახავთ?.. სამწუხაროა... არც მე მინახავს. მე კი ის წინდაწინ მქონდა წაკითხული. სურათი ეს არის, ხომ ხედავთ? კარგათ დაუკვირდით. ლექსიც ეს არის. მისმინეთ, ვკითხულობ:

ავტოპორტრეტი:

ხან მაღალი, ხან დაბალი,
როგორც ბედი მწყალობს
არ იფიქროთ, ვარ საწყალი,
ვიტანჯები, ვწვალობ...
მაღალი ვარ მე დაბალთან
და თავს ვიჭერ მაღლა...
მაღალთან კი... რა უნდა ვქნა,—
ქედსა ვიხრი დაბლა.
თვალებიდან ხან ცეცხლსა ვყრი,
ხან კი ვაფრქვევ ცრემლსა,
მაგრამ ერთ წუთს არ ვივიწყებ
ნატვრულ სიამესა.
ხან ბიჭი ვარ, პირტიტველა,
ხან კი ვუშვებ წვერსა,
ხან დავდივარ ნელა-ნელა,
ვზამამ ხან ექსპრესსა.

— რაო, კიკილაძე პოეტია?—იკითხავთ თქვენ.

დიახ, პოეტია, ცნობილი პოეტი. ნუ, თუ პოეტი რუსთველაძე არ გაგიგონიათ?

ჰო და, თუ გაგიგონიათ, კიკილაძე სწორეთ ის არის.

მომავალში უფრო ახლო გაგაცნობთ მას.

ყუმბარა



— დღეს მოწაფეები გაუშვათ; მიზეზათ სკოლის კიბის დაზიანება დავასახელოთ.
— კიბის გაფუჭებისათვის გუშინ გაუშვით; დღეს კი მიზეზად სკოლის „სახურავის დაზიანება" დავასახელოთ.

ლევარსი როზროზაძე

კაზუსად ხელზე კიკილაძეს

თუმცაღა გულმოსული ვარ შენზე ჩემი შეურაცყოფისათვის, მარა მაინც გამარჯობა შენი, ხოხო კიკილაძევ!

— ლევარსი როზროზაძის ტყუილებს მოკლე ფეხები აქვსო, ის ტრაბახიაო! მე ყველას ვაჯობებ: ლევარსის, კვაჭის და ზურგიელიძესო...

აი ამას ჭქონია ტრაბახი; ჯერ არაფერი ვიცით შენი და წინდაწინ გაიძახი — ჩემისთანა ბიჭი სხვა არ არისო... ვნახოთ, როგორ გააამართლებ დაპირებას.

რაც შეეხება იმას, რომ მე თითქოს ტრაბახი ვიყო, ეს შენ გეჩვენება, რადგან ჩემი მოღვაწეობა და საქმენი საგმირონი მართლაც გასაოცარნი და საკვირველნი არის.

ეგებ შენ ესეც ტრაბახობად ჩამითვალო, რასაც აქვე გიამბობ ჩემი ცხოვრების წარსულიდან:

ზაფხულობით ჩვენს სოფელს ბევრი სტუდენტები და კურსისტკები ესტუმრებოდენ.

ერთ საღამოს მეზობლისას საშინელი კვილი გაისმა.

წამოვდექი ზეზე (ჩრდილში მეძინა ხის ქვეშ).

დავინახე — შეშინებული მეზობელი კურსისტკა ჩემს ეზოსკენ გამორბის.

— ლევარსი, მიშველე, ჩემს ოთახში დათვი შეძოვიდა! — ძლივს მითხრა ქალმა და ყელზე მომეხვია. (ხომ იცი — რა მშვენივრად იციან კურსისტკებმა ყელზე მოხვევა).

— რა ოხერი და თანაც ჭკვიანი ცხოველია დათვი!—ვეუთხარი ქალს. — ალბათ როგორღაც გაიგო, რომ მე მეძინა და ამიტომ გაბედა ტყიდან სოფელში ჩამოსვლა.

ქალი დავამშვიდე და დავტოვე.— მე მის სახლისკენ გავიქეცი.

გავიქეცი, მარა დათვი სახლში არ დამხვდა, როგორც კი გაეგო ლევარსიმ გაიღვიძაო, მაშინვე გაქცეულიყო.

მოვახტი ჩემს ლურჯას და დაეედევნე დათვს.

— როგორ თუ მე დათვი გამექცეს! — და ჩემი ლურჯა შევაგდე ულრან ტყეში.

— ვერ დამეწევი, ცხენი გასკდება ამდენ ჭენებით და ჩემი ლუკმა გახდება! — მომაძახა დათვმა.

— ან შენ, ან მე! — იყო ჩემი პასუხი.

მირბის.

მიესდევ.

მირბის.

შევატყვე დაიღალა.



შემოვკარი ლურჯას მათრახი და.

დათვი გაჩერდა, — აღარ შეეძლო მეტი „სირბილი.

ჩამოვხტი ცხენიდან.

ხელში დანა მოვიმარჯვე.

— შენ იცი და შენმა კეცობამ თუ არ მომკლავ. შეეცდი და მაპატიე! — ასე მითხრა მისმა საცოდავმა გამომეტყველებამ. — შენს ხელში ვარ, რასაც გინდა, მას მიზამ! — ცახცახებდა დათვი.

შემეცოდა.

მომართული დანა ქარქაშში ჩავდე.

— ეს ერთხელ მ ტიებია, ხოლო თუ ამიერიდან პირი სოფლისაკენ გიქნია, ცოცხალი ვერ გადამრჩები.

— არა თუ პირი, თვალითაც არ ვამოვიხედავ სოფლისაკენ! — მომცა პირობა, ეკარი მეგობრული წიხლი და გავეშვი.

წამოვედი.

როცა მთას ვასტოვებდი და ბარს ეუახლოვდებოდი, მოვიხედე და დავინახე — დათვი შიმოდგარი წაქცეულ ხეზე და მე მიცქერდა ცა გულში ამბობდა:

— ეცეცები იტყვიან: „დათვმა რომ მოგერიოს, ბაბა ხარო, უნდა უთხრა“. აწ კი დათვებმა ასე უნდა ვსთქვათ: „ლევარსი რომ მოგერიოს, ბაბა ხარ, უნდა უთხრა მას“

ზმუკი

სიზმარ-ცხადი

კომისიას მოველოდი...
გული ძგერდა, გული ტოკდა,
თუ ჩემ ცოდვებს გაიგებდენ,
მწამდა არვინ დამინდობდა.
მწარე ფიქრმა გამიტაცა,
სიმწრის ოფლი დამედინა,
და მარტო მყოფს შავ ფიქრებში
კაბინეტში ჩამეძინა.
ვაი იმ ძილს...—
მე სიზმარში
ტარკორების ვნახე კრება,
(ეხლაც იმათ ხსენებაზე
სინათლეც კი თვალში ჰქრება).
თავში იჯდა ტარტაროზი,
ვეცხლი ენთო იმის თვალებს;
ხელით ჩანგალს მიღერებდა,
ჩანგალს ბასრს და შეუბრალებს.
პირს აღებდა ტარტაროზი
ვით მშიერი ჯალოქარი,
მისი ჩანგლის ხელში რხევით
ეფინოდა ყველას ზარი.
— ვნახოთ ვახშმად რა მოგვივა,
ისეთი მაქვს ჭამის მადა,
რომ ერთ ლუკმად გადავყლაპავ
ხუთ მავნებელს მე ერთადა!—
დაიძახა ტარტაროზმა...
მოელოდენ ნანადირევს
და გაჰქონდათ კაწა-კუწი
გამგელებულთ ტარკორთ კბილებს.
ამ დროს კართან გაჩნდა ალი,
და გრიგალი ბობოქარი,
— მოდის, მოდის.— ხმა გაისმა
და გაიღო უცებ კარი.

შემოვიდა... ოხ ვინ იყო
ჯერაც არ მაქვს გაგებული.
ხელთ ჩანგალი ეპყრა ბასრა,
ზედ მე ვიყავ აგებული.
ახარებდა ყველას ჩემი
გმინვა ბაგით ამომხდარი.
წამს კბილებში ტარტაროზის
მოვექეცი ცოცხალ მკვდარი.
ვსთქვი: „მიშველეთ, ვაი, ვაი!—
და ხელები გავაქნიე,
ჭახა-ჭუხი შემომესმა,
თურმე საწყლე დავამტვრიე...
კაბინეტში ვიყავ ისევ.
ცოცხალი და უვნებელი,
იატაკი ჩემგან დაღვრილ
წყლით და მელნით იყო სველი
ზედ ეყარა ნამსხვრევები
სამელნის და საწყლე ჭიქის;
კაბინეტის კარებთან კი
მთხოვნელების იდგა რიგი.
შემოვიდა შიკრიკი და
„ტარტაროზი“ მომიტანა,
გადავშალე, და (თქვენ სიზმარს
არ ირწმუნებთ აწი განა!)
„ტარტაროზში“ მე ვიყავი
გალექსილი, გაწერილი,
მთელი გვერდი ჩემზე იყო
აწყობილი, დაწერილი.
ჩამოთვლილი იყო სრულად
რაც კი მქონდა ცოდვა, ბრალი
წამოვდექ და მაგიდის წინ
წაიბარბაცდი, როგორც მთვრალი.

მედუზა

გამოტყდა

პატარა ჯიხაიში

— არ გრცხვენია — სამკითხველოს გაზეთებს ჰყიდი და ღვინოში ხარჯავ აღებულ ფულს?

სამქ. ზამბე: — ღმერთს გეფიცები, მარტო პაპიროსს ვყიდულობ, ხხვას არაფერს!

უსტარი „ტარტაროზს“

შენის ბრძანებით, ტარტაროზ,
გავხდი რა მე უჩინარი,—
ხან ვფრინავ, ხან ფეხით დავალ,
დღე-ღამე დაუძინარი...
უჩინმაჩინის დურბინდით
ვზვერავ ყოველსა მხარესა,
ვერ მცობენ, ვერცა მხედავენ
მომღერალ - მოხარხარესა.
ვინც მტერი შემომეყრება
ცრემლს ვაღვრევინებ ცხარესა.
ქუთაისისკენ გავფრინდი
და ვინახულე საქარა.
ზოგან „კარტია“ გაშლილა,
ზოგან ნარდი და ბაქარა.
ნამდვილი სახით ვეჩვენე
მხოლოდ ჩვენს გლეხკორ ზაქარას.
მომიყვა: ძმაო, უჩინარ,
რა გითხრა, რით გაამოვო;
სჯობს ჩუმათ ვიყო, რომ სტუმარს
ყოფა არ ჩაგიშხამოვო.
— ნუ შესწუხდები, ძმობილო,
სიამეს არ ვარ ჩვეული;
უჩინრად მისთვის ვიქეცი,
რომ არ შემეხოს წყეული,
რომ ავიცილო ჭრილობა
ცხოვრებით გამოწვეული
და თუ დამჭირდა, მყის გავქრე,
როგორც დემონი გრძნეული.
— მაშ, კარგი, ამბავს გადმოგცემ,
შენ-კი იქეცი სმენათა;
თუ ვერ გაამო, ძმობასა,
ნუ ჩამომართმევ წყენათა.
ჩვენშიაც გადმოესხურა
ახალ ცხოვრების სხივები;
ზოგან არტელი დაარსდა
და ზოგან კოლექტივები.
აღფრთოვანებით შევიდნენ
ყველა მშრომელი გლეხები,
აყარეს ღობე და ყორე.
მტრებს დაატეხეს მეხები.
შიგ მაინც შემოგვეპარნენ
„ციხის შიგნიდან მტეხები“,
ზოგნი მერყევნი, და ზოგნიც
კულაკნი, გულ - უკმეხები,
წყალ წაიღებულებს აქ უნდათ.
რომ მოიმაგრონ ფეხები.
აი, ესენი არიან
„ძმანი“ ბიბილაშვილები:
სერგო, ლადო და კოლია
გაქნილ და გამოქნილები,
რომელთაც ორივ გლეხებზე
დალესილი აქვთ კბილები.
ერთია — მამასახლისი,
მეორე — შავსიელია,
მესამე — ავანჩავანი,
მათი მარჯვენა ხელია,
რომელი ერთი გადმოგცე,
ყველას ჩამოთვლა ძნელია
მათ გასაწმენდათ გლეხებს
შენს მობრძანებას ელიან.
ნუ გაუწბილებ იმედსა,
ჩამოსვლა არც თუ ძნელია.
დავშ ები შინი ერთგული
და მტერთა შიშის მგერელია.

უჩინარი.

— ივანე, კოლექტივის წევრი თუ ხარ შენ?

— ჯერ არა, ახლა ვაპირებ შესვლას!

— ვაი დედასა, მოხსნილი არ ვიყო ალმასკომის თავმჯდომარეობიდან, კი ვიცი რასაც ვიზამდი.

სწორი მისამართი

— ამხანაგო, თუ ვინმეს მყავს ამ სოფელში კოგიჯიშის მაძებარი ძაღლი გასაყიდი?

— შეიარეთ ჩვენს წითელ სასადილოში და ყველა ჯიშის ძაღლებს იქ ნახავთ!

ტურების გასაჭირი

გადავედით ძლიერ კოლექტივიზაციაზე. გადავჩეხეთ და გადავკაფეთ ჩიბათის სერები და ხელი მივყავით კულტურული მცენარეების: ჩაის, მანდარინის და სხვ. გაშენებას.

უსარგებლო და მწირ მიწაზე გადამწვანდება ჩაის ბუჩქები.

მთელი თემი სიხარულით ცას სწვდება.

მაგრამ უსახლკაროდ დარჩა რამდენიმე ასეული ტურა. მათ შესახებ კოლექტივის საბჭო ერთხელაც არ დაფიქრებულა, თუ რა უნდა ჰქნან საწყალმა ტურებმა.

ერთ ბნელ ღამეს „კორაულაზე" შესდგა ჩიბათის თემის ტურების კრება, რომელმაც იმსჯელა და გამოიტანა შემდეგი დადგენილება მიმართული კოლექტივის საბჭოსადმი: „ოქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ იმ სერებში, რომელნიც თქვენ გადაჩეხეთ და ზედ ჩაი გააშენეთ, ვცხოვრობდით ჩვენ. ცხოვრება მაინც და მაინც არ გვიჭირდა: შეღამდება თუ არა, მივაკითხავდით რომელიმე საქათმეს; ვტაცებდით პირს ბატს, იხვს, ან ქათამს და მივარბენინებდით სერში, სადაც გემრიელად შევახრამუნებდით. მერე კი ვთამაშობდით და ვმღეროდით.

ახლა?.. ახლა მოგვისპეთ ყოველივე საშუალება და დაგვყარეთ გზაშარაზე, ღვთის ანაბარად; არ ვიცით — ძაღლები დაგვღრნის, თუ გლეხი გაგვიხეთქს კეტით თავს. გამოვსთქვამთ რა ღრმა აღშფოთებას,—მოვითხოვთ, ან გაგვიშენოთ სოფელთან ახლო სერი თავის ხვრელებით და საძრომელებით, ან-და გადაგვასახლოთ სხვაგან, სადაც კოლექტივიზაცია არ ტარდება.

8. ჩიბათელი.

„თაიგული" (…ფ. ხორბა)

ჩვენ კოლექტივს ხელმძღვანელობს
სილო, ლაუ, ზოჩა, კოსტა...
ბიჭებია ახალგაზრდა,
ლამაზები, ტანად კოხტა.
ეს გმირები ყველა ერთად
შეეჩვია მიხას დუქანს,
რადგან მხოლოდ იქ ელიან
ცვრიან სუკებს, დედალს მსუქანს.
— მოვითხოვოთ ოტკა, ღვინო,
საცივი და თეთრი პური,
დაუძახოთ ჩვენ ბარდღასაც,
მას ექნება ბევრი ფული.
აგერ მოდის ჩვენი ბარდღაც
თავის გრძელი ულვაშითა;
გუშინ დილით წამოსულა
სამტრედია — კულაშითა.
ხეებს ართმევს ჩვენს გლეხობას,
აღარ მისცა გროში ფული
იმედი აქვს ამბაკოსი,
ის კაცია გაგებული.
ეტლით უყვარს მას ქეიფი,
აღარა აქვს დასასრული,
თუმცა სმაში ჩვენი ბარდღა
ბეჟოგჯერ არის გალახული.
ერთ დღეს ჯგუფად ძმა-ბიჭებმა
მიხას დუქანს მიაშურეს;
ბ[illegible] სჭამეს წიწილები
და ბოთლები გამოწურეს.
ქეიფი რომ დაასრულეს, —
აღარ ჰქონდათ იმათ „ხურდა"..
სათითად გაიპარენ
რადგან ყველას ასე სურდა. **ჯაბა.**

„ჩვენი ამბები"

მე სატარტაროზო უტილნედლეულის შემგროვებელ ბრიგადის უფროსად ვსთვლი ჩემს თავს დუშეთის რაიონში.

მამალაძეს ხშირად ავალებენ თემებში კამპანიების ჩატარებას.

მლეთის თემში საგაზაფხულო თესვის კამპანია „ნამდვილ" კომპანიად იქცა: ჩასვლისთანავე „მოსამზადებელ" მუშაობას შეუდგა, მობილიზაცია უყო ძმა-ბიჭებს და ჯიხვის რქებით სადღეგრძელოები შესთავაზა საგაზაფხულო თესვას.

„რადგან ობიექტიური და სუბიექტიური პირობები აქ უკვე გამზადებული ყოფილა, ამიტომ მოსამზადებელი მუშაობა ზედმეტად მიმაჩნია" — განაცხადა მან.

მამალაძეს ღვინო თავში შეუვიდა, შეხტა სკამზედ მამალივით და ნაგანი აალაპარაკა, როცა მას წესრიგისაკენ მოუწოდეს, განრისხდა: როგორ თუ თქვენ მაგას მიბედავთ მე, რომელსაც 10 კაცის სიკვდილის ნება მაქვს?! — ღრიალებდა მამალაძე და **ისევ ნაგანი** აამეტყველა. შვიდმა ტყვიამ შვიდ ადგილას გახვრიტა სასადილოს უმანკო კედელი.

ანგარიშის გასწორება ველარ გაუბედეს და კამპანიის შემდეგ მას 25 მანეთი გაყვა. (10 კაცის სიკვდილის ნება აქვს და „ნიუქელი" გლეხკომის 25 მანეთის „გაიმასქნების" ნება არ ექნება!).

ასეთივე კამპანია ჩაატარეს **მამალაძემ და დანელიამ** გრემის თემში.

მღვდელი ტატუნაშვილი საბჭოთა პლატფორმაზე შეხტა, წვერიც გაიპარსა, ანაფორაც გაიხადა, მაგრამ რადგან მას ხმა არ აღუდგინეს, ისევ **ჩამოხტა**, მაგრამ წვერი გაპარსული დარჩა.

მე მეგონა, ნამღვდლევ ფხალაძესავით აღმასკომის სამსახურში ჩამაყენებდენო, — საყვედურს ამბობს, — თორემ კი არ გავიპარსებოდიო.

ნიშადური.

დაპყრობილ ოლქებში

— ნუ იცინი, თორემ თუ ფრანგებმა ოქროს კბილები დაგინახა, გერმანიას ერთ მილიარდს მეტს შეაწერენ.

ინგლისელი ბურჟუა

— უმუშევრობა არისო ინგლისში! ეს სიცრუეა; მე ვერ ვხედავ უმუშევრებს!?

პოლონური ხერხი

საშუალება ეროვნულ უმცირესობათა ჰარმონიულად შეკავშირებისათვის.

**

პოლკოვნიკთა კაბინეტი



პოლონეთის მთავრობის სხდომა

**

ამერიკელი ძია

ამერიკა ატლანტის ოკეანეზე აწყობს რამდენიმე საყრდენს ჰაეროპლანებისათვის.

— მომეცით დასაყრდენი წერტი და მე... შევსვამ ევროპას.

გაცრუებული იმედი

დილის 8 საათია.

სტატისტიკური განყოფილების თანამშრომლებმა დაწესებულებაში უკვე თავი მოიყარეს. ზოგი თავის მაგიდის ლაგებას შეუდგა, ზოგი გაზეთის გადათვალიერებას და ზოგიც გუშინდელ ამბების მოყოლას. 70 წლის ბუღალტერი კირილე ანდარაძე ოჯახის უსიამოვნების ამბავს უყვებოდა ახალგაზრდა მოანგარიშეს. ერთათ-ერთი მოანგარიშე ქალი ამ განყოფილებაში ეუჟენია თვალით ტუალეტს ასწორებდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, მეგობრებო! — გაისმა გამგის მხიარული ხმა.

როგორადაც კარს გურებზე იყო ამ დილით გამგე მაისეი გრიგორიჩი. მის სახეს ღიმილ იშვიათად მოეფინებოდა, დღეს კი გაბრწყინებული სახით, იგი გაკვირვებას იწვევდა თვით თანამშრომლებში.

გათამამებული თანამშრომლები ერთმანეთში ხმადაბლა ლაპარაკს და ჩურჩულს უფრო უმატებდნენ.

— ნეტავი როგორია? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს თანამშრომლები — რა გვარია?

— ჰოო, ცნახოთ, ცნახოთ!

— ნეტავი სად უნდა იყოს ამდენ ხანს?

— და მაისეი გრიგორიჩმა საათს დახედა.

— პადუმაეშ. რა უნდა იყოს ისეთი, რაც თქვენ ამბავში ხართ! — სთქვა გულდაწყვეტილათ ეუჟენია ქალმა, — მალო ლი ტაკიხ ვიდელი!

— მოდის, მოდის! — შემოვარდა შიკრიკი.

— სთხოვე ჩემს კაბინეტში, — უბრძანა მაისეი გრიგორიჩმა — კმაყოფილებით სათვალეები გაისწორა, ჩქარი ნაბიჯით კაბინეტისაკენ გასწია და შეაღო კარები თუ არა... ჰოი საშინელებავ... რომ კარებთან ცნობის მოყვარეობით მიზღვავებულ თანამშრომლებს ხელი არ შეეშველებიათ, მაისეი გრიგორიჩი ალბად ელდისაგან იატაკზე თხლაშას მოახდენდა.

— კაბინეტში იდგა 40 წლის, ძალზე ხმელი, თითქმის მთელი საჟენის სიმაღლის ტანის, უშველებელი ცხვირით და ზედ უზარმაზარი სათვალეებით, ოქროს კბილებიანი ქალი.

— თქვენ... თქვენ! — ჩაილუღლუღა რაღაც მაისეი გრიგორიჩმა.

— დიახ, მე გახლავართ გამოგზავნილი მემანქანე! — და ქალმა გამგეს ხელში ქაღალდის ნაჭერი მიაწოდა.

„ტფილისის შრომის ბირჟა.

გიგზავნებათ თქვენი მოთხოვნილების თანახმად გამოცდილი მემანქანე ქალი მართა გძელიძე".

აკანკალებული ხელით გადაიკითხა თავის თავის მაისეი გრიგორიჩმა და სავარძელში ჩაეფინთხა.

— ფუხუუ! — ხითხითებდა ბებერი ბუღალტერი.

— ოპო, ოპო, შენი ჭირიმე, ესეც ლამაზი, მსუქანი და კარგი — დასცინოდა გამგეს და ახალგაზრდა თანამშრომლებს ეუჟენია.

— ძაან არ შერჩა ხელში! — იცინოდა კარებთან შიკრიკი ესტატე.

მეფისტოფელი.

ს. ოფეთი, (ქუთ. ოლქი)

ეს ლეტავა ილია, ვისი მოგზავნილია? როცა სოფლად ატარებდა კოლექტივიზაციას, — ხელი მიჰყო ქალიბში „ფოთიალიზაციას“. გლეხს ტყვიები ესროლა, როცა დათვრა ილია (თუ კი მთვრალი არ არის. მუდამ მოწყენილია).

მეორე გმირი გახლავთ სევერი ბაბუნია; ის ღვინის სმაში თუმცა ცოტათი ძაბუნია, სამაგიეროდ სჯობნის ილიას კარტს და ნარდში (ხუთმეტი ინადაური მოიგო. ვგონებ მარტში).

ისარი.

ოფიშკეთი, (ქუთ. ოლქი)

ჩვენი კოოპერატორი გამოქნილი კაცია; მიტომ ვერვინ გაიგო მისი მახინაცია. როცა ფული დააკლდა, — დააბრალა ყაჩაღებს. ფართალს რასაც მიიღებს, ნაცნობებში ასაღებს.

იქიდანვე. ალმასკომში არვინ არის: მდივანი და თავმჯდომარე. ნახვა მსურდა მე იმათი, მათ სახლისკენ გავეჩქარე. იმათ სახლში ნათელა იყო, ქეიფი და დროს ტარება. მივხდი — მოსვლა ალმასკომში ორივეს რად ეზარება.

ბრაგუნა.

აკეთი, (გურია)

ჩვენი ფოსტა - ტელეგრაფი ისეთია სწრაფი, რომ დეპეშა ათ დღის შემდეგ ძლივს მიაგნებს პატრონს. გამგეს ღვინო ათრობს; გამგე გრიგოლ მორჩილაძე არის ლოთი, შფოთი. დათვრება და ძილი გუდავს, მოგაგონებს გუდას. ქაოსია ჩვენს ფოსტაში, გული უწუხთ იქ მოცდაში. რაკი გამგემ ღვინოს უქნა ბლომად ყელში ყლაპია, თავი აღარ აბია. მღერის: „ფეხზე მკიდია მე ფოსტისა ფულები; მიკიტანო, რა გიშავს მე თუ კი გეგულები“.

ნეტა, წმენდა გრიგოლსა თუ მოუჭერს თავს რგოლსა? თუმც მფარველი ბევრი ჰყავს ბენია და ვარდენი, მაგრამ რას გახდებიან — ბრალდებაა ამენი!

„დალტი“.

საგარეჯო

ცენტრალური საავთმყოფოს აქ მნეთ არის ლევანი. მას ყველაფერს ურჩევნია ღვინის სმა და ლევანი. ადგილკომის თამჯდომარე და ბებია ქალები, — ხშირად ნახავთ — არიან ყველა დანამთვრალები

ოორლულა

ს. ყულევი, (ხაშურის რაიონი)

ალმასკომის თავმჯდომარე, ძველად იყო კომისარი. დღესაც დადის მედიდურად, გადაყლაპა თიქთოს სარი. მაშინ ლადომ კომუნისტებს გა უყარა ბორკილები. ბევრ სოფლელებს ჩაუმტვრია მუშტის ცემით მანკბილები. მთელ ბორჯომის „გმირი“ იყო, ამაყობდა პაგონებით; სეირნობდა იქით-აქეთ საკუთარი ვაგონებით,.. დღესაც... დღესაც იგივეა; „მიწა - წალად, ცა კი — ქუდად“... წმენდის დროსაც არ წაუვა, ნეტა საქმე ლადოს ცუდად?

ტარკორი.

ოზურგეთი

ალმასკომმა სამკითხველოს არ ალირსა მყარი ბინა. სადაც დილით გაიღვიძა, იქ საღამოს დაიძინა. მოძრავია სამკითხველო: ხან აქ არის და ხან — იქა; და მას ამდენ ხეტიალში ქე გააძვრეს ზურგზე სიქა. „მაშინ ხალხი უფრო ივლის, როცა არის მოძრავიო“.., ხან კლუბშია, ხან დუქანში სამკითხველო ბედ შავიო.

ყალპაძე.

წმენდის კანდიდატები (ზესტაფონი)

მილიციონერი ვასიკო გოგბერაშვილი და „ზაკგოსტორგი“-ს პუნქტის გამგე კოტე ლეონტიევი ჩვეულებისამებრ წითელ სასადილოში ქეიფობდენ.

— ვასიკო, ახალი ამბავი გაიგე?— უთხრა კოტემ, როცა ღვინით სავსე ჩაის ჭიქას ყლაპი უქნა.

— არა!

— სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, აპარატის წმენდა აქაც მალე დაიწყება.

— ნეტა, ვინ არის გასაწმენდი ჩვენი რაიონიდან?

— იცოცხლე შენც და მეც, ბევრი იყოს გამფლანგველები, ყოფილი ვაჭრები და ოფიცრები სამსახურზე მოკალათებული. მაგალითად პირველ რიგში მე მგონია მოხვდეს ვანიჩა გაჩეჩილაძე, როგორც ყოფილი ვაჭარი, ოფიცერი და ამჟამად ხმა-წართმეული.

— რა ხმა წართმეული. სამსახურის დროს გლეხებს ისე უყვირის, რომ...

— მაგრე კი არ ვამბობ, შავ-სიელია!

— ეგ პირველი განდიდატურა. მეორე?

— ვალიკო დუგლაძე, ძველი ოფიცერი, ნამდვილი ბიუროკრატი და გამფლანგველი. განა ასეთებს დატოვებენ აპარატში?

— მესამე?

— ჩვენი ძმა-ბიჭი ბარათაშვილი, რომელსაც „ზაკტპო“-ს ჭიათურის განყოფილებაში შემოეჭამა ათას ხუთასი მანეთი.

— მეოთხე?

— ბილიარდის გამგე ფილიმონ კობახიძე, ყოფილი ვაჭარი, რომელიც პროტექციის წყალობით წამოსკუპდა სამსახურში.

— მეხუთე?

— „გოსპირტი“-ს გამგეობის წევრი ნიჟარაძე.

— მაგას რა ბრალი მიუძღვის?

— ნიჟარაძე საქმეს როგორც უნდა ისე აჭახრაკებს. გემო-კვების კავშირმა ორჯერ გაუგზავნა კავშირის წევრი მუშა და კომკავშირის წევრი გაჩეჩილაძე, მაგრამ მათ უარი უთხრა „სხვადასხვა მიზეზების გამო“ და თავისუფალ ადგილზე თავისიანები მიიღო.

— მეექვსე?

— წითელ ჯვრის კომიტეტის გამგეობის თავმჯდომარე დავით დუგლაძე.

— ის რაღასთვის?

— იხილე გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს 1930 წლის 71 ნომერი. იქ წერია ყველაფერი დაწვრილებითი ცნობებით დავითის შესახებ.

— მეშვიდე?

— უნდა გამოგიტყდე, რომ მეშვიდე შენ იქნები, ჩემო ვასიკო გოგბერაშვილო.

— ნუ მემასხრები თუ კაცი ხარ! მე რატომ უნდა მოვხვედე წმენდაში?

— როგორც ყოფილი მიკიტანი, ეხლა კი მილიციის ფარაჯაში გახვეული.

—ეს თუ ეგრეა, მაშ მერვე კანდიდატი შენ იქნები, ჩემო კოტე ლეონტიევო...

— ნუ მემასხრები თუ კაცი ხარ, მე რატომ?...

— როგორც ყოფილი დიაკვანი. რას დაფიქრდი?! არ გახსოვს თუ?! შენ არ ბრძანდებოდი, — 1923 წელში ანაფორით ტფილისის „შინდა ნინო“-ს ეკლესიაში რომ მსახურებდი?!

ძირულელი თალა.

რუსული იუმორი



„ნეიტრალი სპეცი“: — დაუშლიდი მანქანის გაფუჭებას, მაგრამ, ეგებ ეს მავნებლობა არა ტეხნიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობისაა! მე კი პოლიტიკის გარეშე ვდგევარ.

— რა კრუხსავით ზიხარ! წავიდეთ, დავლიოთ, დავითროთ.

— უარს არ გეტყოდი, მაგრამ ცოლი მილიციონერია და იქვე სდგას საგუშაგოზე!

— ჰეი, ბიჭო, შარვალი გავყიდოთ და რადიო ვიყიდოთ, თორემ ბაღლინჯოები ძილში შეგვჭამენ.

— კვერცხებს ბევრსა ვსდებ, კოოპერატივს მიაქვს, მაგრამ მომხმარებლამდე, ერთმა კვერცხმაც ვერ მიაღწია.

წერილი ტარტაროზს (ს. ნიკოლაშვილიდა, — რაჭა)

აბა, ჩემო ტარტაროზო ძველო! სიტყვა რომ არ გავაგრძელო, ამბები მინდა გითხრა სოფელ ნიკოლაშვილიდან, რადგან მისი საქმე ტკბილ მიდის.

აქ დიდი ხანია, რაც გამოდის კედლის გაზეთი, მაგრამ მე არაფერი მინაზავს ასეთი. მართალია: რედკოლეგიას პირში თაფლი ამოდის, მაგრამ კედლის გაზეთი წელიწადში ერთხელ გამოდის. შენს წერილს არ გაუშვებენ, არ მომიკვდეს ჩემი ენა, თუ მასში არ გააშუქე საერთაშორისო „პალაქეენია“.

ტყუილია, შენი კალამი რაც არ უნდა აატიკტიკო, — არ შეგიძლია, რომ ადგილობრივი რამე გააკრიტიკო.

ან-და, როგორ უნდა დასწერო ვინმეზე ავი, როცა ყველას რედკოლეგიაში მოუყრია თავი. ასე, რომ ვერ იტყვი ვერავისზე ძვირს (იტყვი და მოგაძრობენ ცხვირს). ახშამინ-

ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ

გადამკვრელი „ბრიგადელი“

ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ მემანქანეებს თავი დამკვრელობად აქვთ გამოცხადებული, სტოვებენ ორთქლმავლებს და სამკიტნოში მიდიან ღვინის დასალევად.

აბა დელი-დელი-დელი
ვარ დამკვრელი ბრიგადელი
ბრიგადელი
ვარ დამკვრელი
კახურ ღვინის
გადამკვრელი!
მიიატოვე
ორთქლმავალი,
სავსე კვარტებს
ეცლიდი მთვრალი.
ფიქრს ვაწნავდი
შავ კახურში
და რ[illegible]ს მიველ
სამსახურში,
სამუშაოდ არ დამიშვებს.
პანლური მკრეს,
გამომიშვეს.
სამსახურო პრაშჩაი
ალარ დამრჩა „ნა ჩაი“.

*

კუს ნაბიჯით

კვალიფიციურ მუშა ხელის მომზადების საქმე რკინის გზაზე კუს ნაბიჯით მიდის.

ჩამოდექით!
გზა მომეცით!
მოვალ როგორც
ფიგანტ—მდევი,—
ვინც შემხვიდა
გა[illegible]!
ფაეასწრებ და
დავეწევი!

ცირკულ-დომხალ-იარი

რკ. გზის გამგეობა ხშირად გაუგებარ დირექტივებს იძლევა.

ამხ. პოზდეევის მოხსენებიდან.

— შარადების ახსნა არ იცი მეგობარო?

— რაში გჭირდება?

— შენ ეს მითხარი, იცი თუ არა, შარადების ახსნა ან რთული ამოცანების გამოცნობა?

— მერე რა ამოცანა გინდა რომ გამოვიცნო?

— რკ. გზ. გამგეობის ცირკულიარი. მაქვს და ვერაფერი გავუგე. იქნ[illegible] [illegible]ნ: მიშვიდი, საჭ[illegible] საქმეა.

—??!!.

*

მემანქანე „პაცანები“

რკ. გზ. გამგეობის კაბინეტები მორთულია უკანასკნელ მოდაზე. მაშინ, როდესაც გამგეობა უარს ამბობს თანხის გაცემაზე ორთქლმავლებისათვის საჭირო ბრიზენტის შესაძენად.

— სად მიგაქვს ამხანაგო ეგ დაფლეთილი ტომრის ნაჭრები?

— რკინის გზის მთავარ სახელოსნოში! ორთქლმავალზე უნდა ჩამოვკიდო!

— თუ ორთქლმავლისათვის გინდა, ხეირიან ბრიზენტს წავიღებდი.

— გამგეობა არ გვაძლევს: თანხები არ გვაქვსო“... პირდაპირ საფრთხობელაა ეს დახეული ტომრები; იქიდან როცა ვყოფთ თავს, კონ[illegible] „უბირაიცა ატსუდაო“ — გვეძახიან: ორთქლმავალში შეპარული პაცანები ვგონივართ.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲦᲔᲠᲘᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

შვილო ეკემბერ.

გიგზავნი პასილკით ხუთ კოლოფ რეკორდის პაპიროსს. კი არ იშოვება კოოპერატივში, მარა კერძო ვაჭარს, შავდიას ჰქონდა გადამალული და დამითმო ოთხ-ოთხ აბაზათ.

ჭკუით იყავი, შვილო, მაწყევარი ბევრი გყავს, მარა ღმერთმა დაუბნელოს მათ თვალები ისე, როგორც დაბნელებულია ქუთაისის გოსპიტალის და სხვა გარე-უბნის ქუჩები.

რომ გაათავო კურსები, ქუთაისში არ ითხოვო სამსახური, თორემ რიონჰესში დაგნიშნავენ და აქაური ინჟენერები ახალგაზრდა ტეხნიკებს ათისთავად აწინაურებენ, როგორც ეს უქნეს ტეხნიკ შენგელიას.

ფულის გამოგზავნა მინდმოდა, შვილო, მარა ვისაც კი, მოვთხოვე ჩემი ნაოფლარი სარეცხის ფული. ყველა უარით მისტუმრებს, ისე, როგორც ზოგიერთი პასუხისმგებელი მობინადრები უარით ისტუმრებს ქუთაისის „უაკტს“ ბინის ქირაზე.

ღმერთმა ნუ დაგიკარგოს შვილო, ჩემი მზრუნველობა და მოფერება ისე, როგორც ვილაც დიდი კაცები ეფერებიან კერძო რესტორანის პატრონს ქუთელიას და ცოტა ნალოგებს ახდევინებენ.

ისე დაგაწინაუროს გამჩენმა, შვილო, როგორც აწინაურებენ ქუთაისში,გაზეთებში გამოჭიმულ ზოგიერთ პირებს.

ისე აერიოს ოჯახი შენ დამაწყევარს, როგორც არეულია აქაური საბაზრო კომიტეტი.

ფეხსაცმელი თუ ვერ იშოვო, მომწერე, შვილო, და აქ ვიშოვი. მუშკოოპში არ იშოვება, მარა გადამყიდველებს გამოვართმევ ტროცკის მოედანზე. მართალია, 12 მანეთიანს ყიდიან 20 მანეთად, მარა ალალი იყოს, ტყვილა ხომ არ გაჩერდებიან ოჩერედში მუშკოოპის მაღაზიებში.

თუ ძალიან გაგიჭირდეს, შვილო, ჩაუნისიავე მაქ ვინმეს, ისე, როგორც ქუთაისში პ. თალაქვაძემ ჩაუნისიავა მუშკოოპის მაღაზიებს და შემდეგ არ მისცა. შეიძლება შენც შეგრჩეს თალაქვაძესავით.

ᲛᲔᲚᲘᲐ.

ᲡᲐᲓ?

— თქვენი გვარი?
— სანიკიძე.
— სახელი?
— არჩილი.
— კი, მაგრამ თქვენ ხომ ვაჭარი და მეგახშე ხართ, თანაც დალაქი და „ტაპკის“ პატრონი. საკვირველია, როგორ მოახერხეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოსკუპება?

— სანამ რაიალმასკომში ჩემი ბიჭები დაგეიანეძე და ჭისტაური არიან, მანამ ჩემი საქმე კარგად წავა, ამ თანამდებობაზეც მათი დახმარებით მოვიწყვე.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲔᲛᲓᲘᲒᲘ -ს
ᲣᲛᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ
ᲒᲐᲗᲝᲛᲘᲡ
ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲕᲝᲕᲐ
ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ

ᲒᲝᲓᲝᲠᲘ

ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲠᲘᲡ (ბუკის - ციხე, გურია). თუმცალა სამ ფერს ჩვენ ვამჯობინებთ ერთ ფერს — წითელს, მაგრამ ამ ამონაწერს მაინც დავბეჭდავთ თქვენს წერილიდან:

ბუკის-ციხის არის „გმირი"—
სახელია ალექსანდრე.
მას გაუქცა ცოლი თვისი,
გაქცეოდა უნდა ადრე,
რადგან ცოლსა ალექსანდრე
ექცეოდა მეტად ცუდად.
ცოლსა სცემდა... მას მიაჩნდა
მიწა-წყალად და ცა ქუდად.
რი აქვს გასაკეთებელი.

ᲓᲐᲬᲧᲔᲕᲚᲘᲚᲡ (სოფ. ერკეთი, გურია). თუმცალა იახონის გვარს არ გვეტყობინებთ, მაგრამ ადგილობრივად ყველა მიხვდება მის გვარს ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ:

დავმარხეთ მიცვალებული,
გზაზე ძლივს-და აველით.
თურმე იახონს „წავართვით"
სამარხი ერთი მტკაველი.
აყვირდა ჩვენი იახონ,
მორთო დათვივით ღრიალი:
„მოთხარეთ მკვდარი ისევე".
დაიწყო მუშტის ტრიალი.

იასონის საყურადღებოთ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასეთმა ამბებმა ხშირად და ადვილად იცის პარტბილეთის დასაფლავება.

ᲨᲐᲙᲝᲡ (ლანჩხუთი). სხვისი ფსევდონიმის მისაკუთრება არ არის კარგი საქმე, როგორც კარგი საქმე არ არის:

სერაპიონი ნინიძე
ლანჩხუთის „ზაკტპო"-ს ნოკარი,
უცნობებთან შხამი არის,
ნაცნობებთან კი — შაქარი.

სიფრთხილე მართებს სერაპიონს. „ზაკტპო" მუშკოოპს შეურთდა. მუშკოპი გაკბრილავს „სერაპიონებს".

ᲜᲐᲙᲕᲔᲠᲩᲐᲚᲡ (სოხუმი). ბანდა, ალბად, უფრო საინტერესო ამბები ხდება, ვიდრე:

სოხუმშია, ტარტაროზო,
ერთად - ერთი ცირკი,
რომელშიაც იმართება
ხშირად დიდი ხრიკი... და,

თურმე ეს ხრიკი იმაში მდგომარეობს, რომ:

ნაყიდ ადგილს წაგართმევენ
და გეტყვიან — სხვისიაო.
გვერდში მუშტებს გაგარტყამენ,
თუ არ ჰქენი მისიაო.

რას იზამთ! ალბად კონტროლიორებს ცირკში გამართული ჭიდაობა ასეთ ხასიათზე აყენებს.

ᲙᲣᲓᲐᲚᲐᲡ (სოფ. მტერჩვეული, ხამტრედია). თუმცალა თქვენი სოფელი მტერ-ჩვეული ყოფილა, მაგრამ ჩვენც გეთანხმებით იმაში, რომ დაუშვებელია:

მტერჩვეულის შრომის სკოლას
მასწავლებლობს ტურფა ქალი.
როცა ვაჟებს დაინახავს,
იმათკენ აქვს ცალი თვალი.
ის სკოლაში პაპიროსს სწევს
როდესაც ხსნის გაკვეთილებს
(გაკვეთილიც ამას ჰქვია).
ნეტა ვინმე თუ აფრთხილებს?

ალბად აწ გააფრთხილებს განათლების განყოფილება

ᲞᲣᲚᲔᲢᲘ (აქვე). თქვენი გენიალობის დასამტკიცებლად, ეს ტაეპიც კმარა:

ერთმანეთსა ვკბენდით ტრფობით,
პაემანზე დავდიოდით;
ნაკბენ ადგილს ჩვენ ვირჩენდით
პლასტირითა და იოდით.
ჰო-და ეხლა ალარ დადის,
ვუყურყუტებ პაემანზე.
ნეტა ერთი მაცოდინა
რად დამტოვა მე მან გაზზე?!

ალბად კარგად გაგიცნოთ და იმიტომ; დროზე უშველებია თავისთვის.

ᲠᲔᲓᲐᲥ.: ᲡᲐᲠᲔᲓ. ᲙᲣᲚᲔᲒᲘᲐ. ᲒᲐᲖ. „ᲛᲣᲨᲐᲡ" ᲒᲐᲛᲝᲪ. ᲛᲗᲐᲕᲡ. № 1319.
(ᲒᲐᲖᲔᲗᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐᲗ) ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, „ᲙᲣᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ", ᲙᲐᲛᲝᲡ Ქ. № 68.

V 345
1930

ინდოეთის სპილო და ინგლისის ლომი

— გაცხარდა სპილო, გაცხარდა სპილო, — ვიხრჩობი! ვაი ცოლი და შვილი.